# ოქმი #5

## თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2025 წლის 15 ივლისის სხდომისა

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**სამეცნიერო საბჭოს წევრები:** თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, მ. ელიაშვილი, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 27 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 17 წევრი).

**დღის წესრიგი:**

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების განხილვა და არჩევნებისთვის კენჭისყრის დღის დანიშვნა.

**მოისმინეს:** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად 2025 წლის 26 ივნისს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოსულია თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის განცხადება.

**სამეცნიერო საბჭომ** განიხილა გ. ლავრელაშვილის განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ გ. ლავრელაშვილის კანდიდატურა აკმაყოფილებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**მოისმინეს:** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი # 3) დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის“ მიხედვით საჭიროა დაინიშნოს კენჭისყრის დღე ზემოთ ხსენებული კონკურსისთვის.

**დაადგინეს:**

1) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდეს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის კანდიდატურა;

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად გამოცხადებული კონკურსისთვის კენჭისყრის დღედ განისაზღვროს 2025 წლის 16 ივლისი, 15:00 სთ.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლულმდივანი — ო. ჯოხაძე